

სახლ-მუზეუმების პრობლემების კვლევა და მათი განვითარების
პერსპექტივები
(ელენე ახვლედიანის, ზაქარია ფალაიშვილის, იაკობ ნიკოლაძისა და
გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმების მაგალითზე)

ნატო გოცირიძე

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და
კულტურის მენეჯმენტი.*

E-mail: natogotsiridze@yahoo.com

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იური მღებრიშვილი, დოქტორი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინანმდებარე ნაშრომში წარმოდგენილია თბილისის ოთხი ცნობილი სახლ-მუზეუმის: ზაქარია ფალიაშვილის, ელენე ახვლედიანის, იაკობ ნიკოლაძისა და გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმების ისტორია, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები.

ნაშრომის ძირითად საკვლევ წყაროს წარმოადგენს ჩემს მიერ შემუშავებული კითხვარი მუზეუმის ვიზიტორებისა. ხოლო, დამატებით წყაროებს წარმოადგენს სამეცნიერო მონოგრაფიები, სტატიები და სამეცნიერო ლიტერატურა. მუზეუმების თემაზე არსებული მეცნიერული გამოკვლევები, საარქივო ჩანაწერები, პერიოდული პუბლიკაციები, მუზეუმების თანამშრომლებისაგან მიღებული გამოკითხვის მასალები, ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია.

ნაშრომის მიზანია მეცნიერულად განისაზღვროს და დაზუსტდეს: მუზეუმების როლი საქართველოს ისტორიული წარსულისა და ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში; რა ეკონომიკური სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ახალ ქართულ ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ჩართულ სამუზეუმო დაწესებულებებს და როგორ უნდა დაგეგმარდეს მათი პრიორიტეტული მიმართულებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები:, კვლევა, კულტურის მარკეტინგი, კულტურის მენეჯმენტი, სამუზეუმო მენეჯმენტი, სახლ-მუზეუმი.